**საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის**

**ბრძანება №179**
**2012 წლის 17 დეკემბერი**

**ქ. თბილისი**

**„პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთის, შერეული ტიპის ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დაწესებულებების, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებისა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრის დებულებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 30 მაისის №97 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთის, შერეული ტიპის ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დაწესებულებების, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებისა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრის დებულებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 30 მაისის №97 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებებში (სსმ, ვებგვერდი, 03/06/2011, სარეგისტრაციო კოდი 100020020.22.038.016052) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

ა) ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დებულების დანართი №2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი №2

**ჩამონათვალი იმ პირველადი მოხმარების საგნების, ჰიგიენური საშუალებების, კვების პროდუქტებისა და სხვა ნივთებისა და საგნებისა, რომლებიც ბრალდებულს უფლება აქვს ამანათის სახით მიიღოს, შეინახოს და გამოიყენოს კანონიერად**

1. კვების პროდუქტები: ყველა სახეობის ხილი კენკროვანი ხილის, ყურძნის, ნესვის და საზამთროს გარდა (ერთდროულად, ერთობლიობაში არა უმეტეს 5 კილოგრამისა); თაფლი ქარხნული წესით დამუშავებული შუშის ქილის გარეშე (ერთდროულად არა უმეტეს 3 კილოგრამისა).

2. კვების პროდუქტები, რომელთა ამანათის სახით მიღების, შენახვისა და გამოყენების უფლება აქვს №18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში განთავსებულ ბრალდებულს: კივი, ბანანი, ციტრუსი და ყველა სხვა სახეობის ხილი კენკროვანი ხილის, ყურძნის, ნესვის და საზამთროს გარდა (ერთდროულად, ერთობლიობაში არა უმეტეს 5 კილოგრამისა), თაფლი ქარხნული წესით დამუშავებული შუშის ქილის გარეშე (ერთდროულად არა უმეტეს 5 კილოგრამისა), მოხარშული კვერცხი (კვირაში ერთხელ - არაუმეტეს 10 ცალისა), საქონლის და ქათმის უძვლო ხორცი (ფარშირებულის და დაკეპილის გარდა) მოხარშული (ერთდროულად არა უმეტეს 2 კილოგრამისა).

3. სასმელი (ქარხნული წესით დალუქული მინერალური წყლები და უალკოჰოლო გაზიანი სასმელები შეფერილობის გარეშე) ერთდროულად არა უმეტეს 5 ლიტრისა.

4. სეზონური ტანსაცმელი: მუქი ფერის გრძელი შარვალი („ბრიჯის“ და „შორტის“ გარდა) არა უმეტეს 3 ცალისა, ქურთუკი სარჩულის გარეშე (ყველა სახის ქურქის, დუტის და ტყავის გარდა) არა უმეტეს 1 ცალისა, სეზონური მაისური და სვიტრი (თავსაფრის გარეშე) ერთდროულად არა უმეტეს 4 ცალისა, ნაქსოვი ქუდი (კეპის გარეშე) ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა, პერანგი ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა, სეზონური თხელძირიანი ფეხსაცმელი ზონარის გარეშე („ჩუსტი“, „კეტი“, „ბოტასი“) ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა.

5. სპორტული ტანსაცმელი (თავსაფრისა და სარჩულის გარეშე) ერთდროულად არა უმეტეს 1 კომპლექტაციისა.

6. ბრალდებულისათვის დადგენილი ნიმუშის საწოლის ნივთები (ლოგინის თეთრეული ღია ფერის მოთეთრო – საბნის პირი, ბალიშის პირი, ზეწარი) ერთდროულად არა უმეტეს 1 კომპლექტაციისა.

7. საცვალი („ტრუსი“) და წინდა (სეზონური) ერთდროულად არა უმეტეს 8 ცალისა.

8. პირსახოცი ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა (ღია ფერის მოთეთრო, ზომით არა უმეტეს 70/40) და ცხვირსახოცი ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა.

9. კბილის ჯაგრისი, ბამბა და არამეტალის სავარცხელი ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა.

10. თავსაფარი არა უმეტეს 1 ცალისა, რეიტუზი ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა, კოლჰოტკა ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა და ბიუსტჰალტერები ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა (№5 ქალთა პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება).

11. მარლა, ჰიგიენური პაკეტი ერთდროულად არა უმეტეს 10 ცალისა, არამეტალის თმის სამაგრი ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა, კოსმეტიკური ნივთები პლასტმასის შეფუთვით ერთდროულად არა უმეტეს 5 ცალისა, შამპუნი არა უმეტეს 1 ლიტრისა (№5 ქალთა პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება).

12. სათვალე (ოპტიკური არაძვირფასი მეტალის ან პლასტმასის ჩარჩოთი) ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა.

13. რვეული – ერთდროულად არა უმეტეს 1 ცალისა, რომლის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 21/30 სმ-ს.

14. არამეტალის უბრალო ფანქარი და პლასტმასის ავტოკალამი ერთდროულად არა უმეტეს 5 ცალისა.

15. წიგნი (წიგნის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 21/30 სმ-ს, ბრალდებულმა ერთდროულად შეიძლება იქონიოს არა უმეტეს 3 წიგნისა, გარდა იმ წიგნებისა რომლებიც შეიცავენ შემდეგ შინაარსს: პორნოგრაფიას; მშენებლობის ინსტრუქციებს; ცეცხლსასროლი იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების აწყობის ინსტრუქციებს; მასალებს, რომელიც მოიცავს რასობრივ, რელიგიურ და ეროვნულ სიძულვილს; სხვა მასალებს, რომლებიც შესაძლებელია საფრთხეს უქმნიდეს ბრალდებულის უსაფრთხოებას).

16. ფოტოსურათი ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა, ზომით არა უმეტეს 9/13 სმ-ისა.

17. ხისგან დამზადებული ჯვარი და არამეტალის საკულტო საგანი ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა.

18. ყავარჯნები, ხის ტროსტები, პროტეზები, ინვალიდის ეტლები (ექიმის ნებართვით).“;

**ბ) ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დებულების დანართი №2$^{2}$ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

დანართი №2$^{2}$

**ჩამონათვალი იმ კვების პროდუქტების, პირველადი მოხმარების საგნების, ჰიგიენური საშუალებების, კვების პროდუქტებისა და სხვა ნივთებისა და საგნებისა, რომლებიც ბრალდებულმა შეიძლება მიიღოს ამანათის სახით - ფოსტის მეშვეობით, შეინახოს და გამოიყენოს კანონიერად**

1. თაფლი – ქარხნული წესით დამუშავებული შუშის ქილის გარეშე, ერთდროულად არა უმეტეს 3 კილოგრამისა (№18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში განთავსებულ ბრალდებულს - არა უმეტეს 5 კილოგრამისა).

2. მინერალური წყალი – ქარხნული წესით დალუქული, ერთდროულად არა უმეტეს 5 ლიტრისა.

3. სეზონური ტანსაცმელი: მუქი ფერის გრძელი შარვალი („ბრიჯის“ და „შორტის“ გარდა) არა უმეტეს 3 ცალისა, ქურთუკი სარჩულის გარეშე (ყველა სახის ქურქის, დუტის და ტყავის გარდა) არა უმეტეს 1 ცალისა, სეზონური მაისური და სვიტრი (თავსაფრის გარეშე) ერთდროულად არა უმეტეს 4 ცალისა, ნაქსოვი ქუდი (კეპის გარეშე) ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა, პერანგი ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა, სეზონური თხელძირიანი ფეხსაცმელი ზონარის გარეშე („ჩუსტი“, „კეტი“, „ბოტასი“) ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა.

4. სპორტული ტანსაცმელი (თავსაფრისა და სარჩულის გარეშე) ერთდროულად არა უმეტეს 1 კომპლექტაციისა.

5. ბრალდებულისათვის დადგენილი ნიმუშის საწოლის ნივთები (ლოგინის თეთრეული ღია ფერის მოთეთრო – საბნის პირი, ბალიშის პირი, ზეწარი) ერთდროულად არა უმეტეს 1 კომპლექტაციისა.

6. საცვალი („ტრუსი“) და წინდა (სეზონური) ერთდროულად არა უმეტეს 8 ცალისა.

7. პირსახოცი ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა (ღია ფერის მოთეთრო, ზომით არა უმეტეს 70/40) და ცხვირსახოცი, ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა.

8. კბილის ჯაგრისი, ბამბა და არამეტალის სავარცხელი ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა.

9. თავსაფარი არა უმეტეს 1 ცალისა, რეიტუზი ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა, კოლჰოტკა ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა და ბიუსტჰალტერი ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა (№5 ქალთა პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება).

10. მარლა, ჰიგიენური პაკეტი ერთდროულად არა უმეტეს 10 ცალისა, არამეტალის თმის სამაგრი ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა, კოსმეტიკური ნივთები პლასტმასის შეფუთვით ერთდროულად არა უმეტეს 5 ცალისა, შამპუნი არა უმეტეს 1 ლიტრისა (№5 ქალთა პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება).

11. სათვალე (ოპტიკური არაძვირფასი მეტალის ან პლასტმასის ჩარჩოთი) ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა.

12. რვეული – ერთდროულად არა უმეტეს 1 ცალისა, რომლის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 21/30 სმ-ს.

13. არამეტალის უბრალო ფანქარი და პლასტმასის ავტოკალამი ერთდროულად არა უმეტეს 5 ცალისა.

14. წიგნი (წიგნის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 21/30 სმ-ს, ბრალდებულმა ერთდროულად შეიძლება იქონიოს არა უმეტეს 3 წიგნისა, გარდა იმ წიგნებისა რომლებიც შეიცავენ შემდეგ შინაარსს: პორნოგრაფიას; მშენებლობის ინსტრუქციებს, ცეცხლსასროლი იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების აწყობის ინსტრუქციებს; მასალებს, რომლებიც მოიცავს რასობრივ, რელიგიურ და ეროვნულ სიძულვილს; სხვა მასალებს, რომლებიც შესაძლებელია საფრთხეს უქმნიდეს ბრალდებულის უსაფრთხოებას).

15. ფოტოსურათი ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა, ზომით არა უმეტეს 9/13 სმ-ისა.“.

**გ) ბრძანების მე-2 მუხლით დამტკიცებული დებულების დანართი №2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

დანართი №2

**ჩამონათვალი იმ პირველადი მოხმარების საგნების, ჰიგიენური საშუალებების, კვების პროდუქტებისა და სხვა ნივთებისა და საგნებისა, რომლებიც მსჯავრდებულს უფლება აქვს ამანათის სახით მიიღოს, შეინახოს და გამოიყენოს კანონიერად**

1. კვების პროდუქტები: ყველა სახეობის ხილი კენკროვანი ხილის, ყურძნის, ნესვის და საზამთროს გარდა (ერთდროულად, ერთობლიობაში არა უმეტეს 5 კილოგრამისა); თაფლი ქარხნული წესით დამუშავებული, შუშის ქილის გარეშე (ერთდროულად არა უმეტეს 3 კილოგრამისა).

2. კვების პროდუქტები, რომელთა ამანათის სახით მიღების, შენახვის და გამოყენების უფლება აქვთ №18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში და №19 დაწესებულებაში (ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრი) განთავსებულ მსჯავრდებულებს: კივი, ბანანი, ციტრუსი და ყველა სხვა სახეობის ხილი კენკროვანი ხილის, ყურძნის, ნესვის და საზამთროს გარდა

(ერთდროულად, ერთობლიობაში არა უმეტეს 5 კილოგრამისა); თაფლი ქარხნული წესით დამუშავებული შუშის ქილის გარეშე (ერთდროულად არა უმეტეს 5 კილოგრამისა), მოხარშული კვერცხი (კვირაში ერთხელ - არაუმეტეს 10 ცალისა), საქონლის და ქათმის უძვლო ხორცი (ფარშირებულის და დაკეპილის გარდა) მოხარშული (ერთდროულად არა უმეტეს 2 კილოგრამისა).

3. სასმელი (ქარხნული წესით დალუქული მინერალური წყლები და უალკოჰოლო გაზიანი სასმელები შეფერილობის გარეშე) ერთდროულად არა უმეტეს 5 ლიტრისა.

4. სეზონური ტანსაცმელი: მუქი ფერის გრძელი შარვალი („ბრიჯის“ და „შორტის“ გარდა) არა უმეტეს 3 ცალისა, ქურთუკი სარჩულის გარეშე (ყველა სახის ქურქის, დუტის და ტყავის გარდა) არა უმეტეს 1 ცალისა, სეზონური მაისური და სვიტრი (თავსაფრის გარეშე) ერთდროულად არა უმეტეს 4 ცალისა, ნაქსოვი ქუდი (კეპის გარეშე) ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა, პერანგი ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა, სეზონური თხელძირიანი ფეხსაცმელი ზონარის გარეშე („ჩუსტი“, „კეტი“, „ბოტასი“) ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა.

5. სპორტული ტანსაცმელი (თავსაფრისა და სარჩულის გარეშე) ერთდროულად არა უმეტეს 1 კომპლექტაციისა.

6. მსჯავრდებულისათვის დადგენილი ნიმუშის საწოლის ნივთები (ლოგინის თეთრეული ღია ფერის მოთეთრო – საბნის პირი, ბალიშის პირი, ზეწარი) ერთდროულად არა უმეტეს 1 კომპლექტაციისა.

7. საცვალი („ტრუსი“) და წინდა (სეზონური) ერთდროულად არა უმეტეს 8 ცალისა.

8. პირსახოცი ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა (ღია ფერის მოთეთრო, ზომით არა უმეტეს 70/40) და ცხვირსახოცი ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა.

9. კბილის ჯაგრისი, ბამბა და არამეტალის სავარცხელი, ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა.

10. თავსაფარი არა უმეტეს 1 ცალისა, რეიტუზი ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა, კოლჰოტკა ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა და ბიუსტჰალტერი ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა, (№5 ქალთა პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება).

11. მარლა, ჰიგიენური პაკეტი ერთდროულად არა უმეტეს 10 ცალისა, არამეტალის თმის სამაგრი ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა, კოსმეტიკური ნივთები პლასტმასის შეფუთვით ერთდროულად არა უმეტეს 5 ცალისა, შამპუნი არა უმეტეს 1 ლიტრისა (№5 ქალთა პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება).

12. სათვალე (ოპტიკური არაძვირფასი მეტალის ან პლასტმასის ჩარჩოთი) ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა.

13. რვეული – ერთდროულად არა უმეტეს 1 ცალისა, რომლის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 21/30 სმ-ს.

14. არამეტალის უბრალო ფანქარი და პლასტმასის ავტოკალამი ერთდროულად არა უმეტეს 5 ცალისა.

15. წიგნი (წიგნის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 21/30 სმ-ს, მსჯავრდებულმა ერთდროულად შეიძლება იქონიოს არა უმეტეს 3 წიგნისა, გარდა იმ წიგნებისა, რომლებიც შეიცავენ შემდეგ შინაარსს: პორნოგრაფიას; მშენებლობის ინსტრუქციებს; ცეცხლსასროლი იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების აწყობის ინსტრუქციებს; მასალებს, რომლებიც მოიცავს რასობრივ, რელიგიურ და ეროვნულ სიძულვილს; სხვა მასალებს, რომლებიც შესაძლებელია საფრთხეს უქმნიდეს მსჯავრდებულის უსაფრთხოებას).

16. ფოტოსურათი ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა, ზომით არა უმეტეს 9/13 სმ-ისა.

17. ხისგან დამზადებული ჯვარი და არამეტალის საკულტო საგანი ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა.

18. ყავარჯნები, ხის ტროსტები, პროტეზები, ინვალიდის ეტლები (ექიმის ნებართვით).“.

**დ) ბრძანების მე-2 მუხლით დამტკიცებული დებულების დანართი №2$^{2}$ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

დანართი №2$^{2}$

**ჩამონათვალი იმ კვების პროდუქტების, პირველადი მოხმარების საგნების, ჰიგიენური საშუალებების, კვების პროდუქტებისა და სხვა ნივთებისა და საგნებისა, რომლებიც მსჯავრდებულმა შეიძლება მიიღოს ამანათის სახით - ფოსტის მეშვეობით, შეინახოს და გამოიყენოს კანონიერად**

1. თაფლი – ქარხნული წესით დამუშავებული შუშის ქილის გარეშე, ერთდროულად არა უმეტეს 3 კილოგრამისა (№18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში და №19 დაწესებულებაში (ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრი) განთავსებულ მსჯავრდებულებს - არაუმეტეს 5 კილოგრამისა).

2. მინერალური წყალი – ქარხნული წესით დალუქული ერთდროულად არა უმეტეს 5 ლიტრისა.

3. სეზონური ტანსაცმელი: მუქი ფერის გრძელი შარვალი („ბრიჯის“ და „შორტის“ გარდა) არა უმეტეს 3 ცალისა, ქურთუკი სარჩულის გარეშე (ყველა სახის ქურქის, დუტის და ტყავის გარდა) არა უმეტეს 1 ცალისა, სეზონური მაისური და სვიტრი (თავსაფრის გარეშე) ერთდროულად არა უმეტეს 4 ცალისა, ნაქსოვი ქუდი (კეპის გარეშე) ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა, პერანგი ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა, სეზონური თხელძირიანი ფეხსაცმელი ზონარის გარეშე („ჩუსტი“, „კეტი“, „ბოტასი“) ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა.

4. სპორტული ტანსაცმელი (თავსაფრისა და სარჩულის გარეშე) ერთდროულად არა უმეტეს 1 კომპლექტაციისა.

5. მსჯავრდებულისათვის დადგენილი ნიმუშის საწოლის ნივთები (ლოგინის თეთრეული ღია ფერის, მოთეთრო – საბნის პირი, ბალიშის პირი, ზეწარი) ერთდროულად არა უმეტეს 1 კომპლექტაციისა.

6. საცვალი (ტრუსი) და წინდა (სეზონური) ერთდროულად არა უმეტეს 8 ცალისა.

7. პირსახოცი ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა (ღია ფერის, მოთეთრო, ზომით არა უმეტეს 70/40) და ცხვირსახოცი ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა.

8. კბილის ჯაგრისი, ბამბა და არამეტალის სავარცხელი ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა.

9. თავსაფარი არა უმეტეს 1 ცალისა, რეიტუზი ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა, კოლჰოტკა ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა და ბიუსტჰალტერი ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა (№5 ქალთა პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება).

10. მარლა, ჰიგიენური პაკეტი ერთდროულად არა უმეტეს 10 ცალისა, არამეტალის თმის სამაგრი ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა, კოსმეტიკური ნივთები პლასტმასის შეფუთვით ერთდროულად არა უმეტეს 5 ცალისა, შამპუნი არა უმეტეს 1 ლიტრისა (№5 ქალთა პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება).

11. სათვალე (ოპტიკური არაძვირფასი მეტალის ან პლასტმასის ჩარჩოთი) ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა.

12. რვეული – ერთდროულად არა უმეტეს 1 ცალისა, რომლის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 21/30 სმ-ს.

13. არამეტალის უბრალო ფანქარი და პლასტმასის ავტოკალამი ერთდროულად არა უმეტეს 5 ცალისა.

14. წიგნი (წიგნის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 21/30 სმ-ს, მსჯავრდებულმა ერთდროულად შეიძლება იქონიოს არა უმეტეს 3 წიგნისა, გარდა იმ წიგნებისა, რომლებიც შეიცავენ შემდეგ შინაარსს: პორნოგრაფიას; მშენებლობის ინსტრუქციებს; ცეცხლსასროლი იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების აწყობის ინსტრუქციებს; მასალებს რომლებიც მოიცავს რასობრივ, რელიგიურ და ეროვნულ სიძულვილს; სხვა მასალებს, რომლებიც შესაძლებელია საფრთხეს უქმნიდეს მსჯავრდებულის უსაფრთხოებას).

15. ფოტოსურათი ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა, ზომით არა უმეტეს 9/13 სმ-ისა.“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**მინისტრი** **სოზარ სუბარი**